

სს იშბანკი საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1 ზოგადი ინფორმაცია.....	8
2 მომზადების საფუძველი	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	18
5 გაუფასურების ზარალი	19
6 პერსონალზე გაწეული ხარჯები	19
7 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	19
8 მოგების გადასახადის ხარჯი.....	19
9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	20
10 კლიენტებზე გაცემული სესხები	21
11 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	30
12 ბანკისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები.....	31
13 კლიენტებისაგან მიღებული მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები.....	31
14 სხვა ნასესხები სახსრები	31
15 რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი	32
16 კაპიტალის მართვა.....	44
17 საკრედიტო ვალდებულებები	45
18 საოპერაციო იჯარა	46
19 გაუთვალისწინებელი გარემოებები	46
20 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	47
21 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები.....	48



შპს KPMG Georgia
ბესიკის ქუჩა, N4
თბილისი, 0108,
საქართველო

ტელეფონი: +995 (32) 2935695
ფაქსი: +995 (32) 2935713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „იმზანკი საქართველო“-ს აქციონერს

ჩვენ ჩავატარეთ სს „იმზანკი საქართველო“-ს (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

KPMG Georgia LLC

შპს KPMG Georgia

8 აპრილი 2016




*სს „იშბანკი საქართველო“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის*

	შენიშვნა	2015 ლარი	2014 ლარი
საპროცენტო შემოსავალი	4	12,766,686	5,059,804
საპროცენტო ხარჯი	4	(6,059,691)	(1,463,647)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	6,706,995	3,596,157
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		802,818	287,625
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯი		(677,169)	(243,020)
წმინდა მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		125,649	44,605
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა შემოსავალი		1,308,309	280,126
საოპერაციო შემოსავალი		8,140,953	3,920,888
გაუფასურების ზარალი	5	(1,324,291)	(1,090,899)
სახელფასო ხარჯები	6	(2,739,380)	(1,696,384)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,201,827)	(1,273,961)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,875,455	(140,356)
მოგების (გადასახადი)/გადასახადის სარგებელი	8	(205,100)	30,393
მოგება/(ზარალი) და სრული მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო პერიოდისთვის		1,670,355	(109,963)

4-49 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2016 წლის 8 აპრილს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


 აკმეთ თურქი
 გენერალური დირექტორი


 უზა სარალიძე
 მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს „იშბანკი საქართველო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

	შენიშვნა	2015 ლარი	2014 ლარი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	38,888,900	14,034,489
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		25,819,008	5,436,305
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	145,284,625	69,091,150
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	11	2,831,260	1,950,545
გადავადებული საგადასახადო აქტივები	8	-	142,166
სხვა აქტივები		232,899	757,769
სულ აქტივები		213,056,692	91,412,424
ვალდებულებები			
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	12	126,224,194	8,931,707
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	13	55,016,364	32,842,780
სხვა ნასესხები სახსრები	14	-	36,708,550
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	8	39,665	-
სხვა ვალდებულებები		279,454	722,520
სულ ვალდებულებები		181,559,677	79,205,557
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		30,000,000	-
სავალდებულო რეზერვი		-	13,013,484
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		1,497,015	(806,617)
სულ კაპიტალი	16	31,497,015	12,206,867
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		213,056,692	91,412,424

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს „იმზანკი საქართველო“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის*

შენიშვნა	2015 ლარი	2014 ლარი
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,875,455	(140,356)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	563,235	288,586
საპროცენტო შემოსავალი	(12,766,686)	(5,059,804)
საპროცენტო ხარჯი	6,059,691	1,463,647
გაუფასურების ზარალი	1,324,291	1,090,899
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა შემოსავალი	(1,308,309)	(280,126)
	(4,252,323)	(2,637,154)
<i>ცვლილება საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:</i>		
სავალდებულო რეზერვების ზრდა საქართველოს ეროვნულ ბანკში	(18,333,575)	(4,669,523)
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა	(55,610,742)	(49,486,348)
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)	524,870	(753,971)
ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებების ზრდა	63,527,317	6,589,871
კლიენტების ანგარიშების ზრდა	14,093,259	28,518,802
სხვა ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(443,066)	712,147
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(494,260)	(21,726,176)
მიღებული პროცენტები	11,836,767	4,036,812
გადახდილი პროცენტები	(4,762,108)	(1,248,368)
წმინდა შემოსავლები საკურსო სხვაობიდან	998,362	400,623
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები	7,578,761	(18,537,109)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,443,950)	(1,227,910)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(1,443,950)	(1,227,910)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავლები სხვა ნასესხები სახსრებიდან	-	23,009,825
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	-	(2,215,618)
მიღებული სახსრები სააქციო კაპიტალის/სავალდებულო რეზერვების გასაზრდელად	17,619,793	156,332
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	17,619,793	20,950,539
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	23,754,604	1,185,520
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	1,099,807	231,307
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	14,034,489	12,617,662
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	9 38,888,900	14,034,489

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სს „იშბანკი საქართველო“
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ლარი	სავალდებულო რეზერვები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	12,857,152	-	(696,654)	12,160,498
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში			(109,963)	(109,963)
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებელთან				
სავალდებულო რეზერვის ზრდა	156,332	-	-	156,332
სულ ოპერაციები დამფუძნებელთან	156,332	-	-	156,332
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,013,484	-	(806,617)	12,206,867
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	13,013,484	-	(806,617)	12,206,867
მოგება და სულ სრული მოგება წლის განმავლობაში			1,670,355	1,670,355
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებელთან				
სავალდებულო რეზერვის გადატანა სააქციო კაპიტალში	(13,013,484)	13,013,484	-	-
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალის გადატანა სააქციო კაპიტალში (შენიშვნა 1a)	-	(806,617)	806,617	-
2015 წლის 31 ივლისის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების გადატანა კაპიტალში (შენიშვნა 1a)	-	173,340	(173,340)	-
ფულის დამატება სააქციო კაპიტალში	-	17,619,793	-	17,619,793
სულ ოპერაციები დამფუძნებელთან	(13,013,484)	30,000,000	633,277	17,619,793
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	30,000,000	1,497,015	31,497,015

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი (შემდგომში „ფილიალი“) დარეგისტრირდა 2012 წლის 13 ივლისს, როგორც უცხოური ბანკის Türkiye İş Bankası Anonim Şirketi (შემდგომში „მშობელი კომპანია“), დაარსებული თურქეთში 1924 წელს, ფილიალი. 2015 წლის 1 აგვისტოს ფილიალმა განიცადა რეორგანიზაცია და გახდა სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“). რეორგანიზაციის მომენტისათვის ფილიალის ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი და ვალდებულება გადავიდა ბანკის ბალანსზე. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავალდებულო რეზერვები, დაგროვილი ზარალი და 2015 წლის 31 ივლისის მდგომარეობით შვიდი თვის გაუნაწილებელი მოგება, შესაბამისად: 13,013,484 ლარი, 806,617 ლარი და 173,340 ლარი, გადავიდა ბანკის სააქციო კაპიტალში. იხილეთ ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.

ბანკის მთავარი საქმიანობა მოიცავს ანაზრების მიღებასა და კლიენტების ანგარიშების მომსახურებას, სესხების გაცემას, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორების ოპერაციებსა და ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. ბანკს გააჩნია გენერალური საბანკო ლიცენზია და მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (შემდგომში „სებ“).

ბანკის იურიდიული მისამართია, დ. აღმაშენებლის გამზ. 140 ბ, თბილისი, საქართველო. ბანკს აქვს ორი ფილიალი თბილისსა და ბათუმში და მომსახურების ორი ცენტრი ბათუმში.

ბანკის დაფინანსება უმეტესწილად (2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 51% და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 64%) ხორციელდება მშობელი კომპანიის მიერ. შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკის ძირითადი საქმიანობა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობელი კომპანიის მოთხოვნებთან.

ბანკი კონტროლდება იშბანკის დამატებითი საპენსიო ფონდის წევრების მიერ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებულია მე-20 შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

ბანკის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ბანკი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც თავის მხრივ ხასიათდებიან განვითარებადი ქვეყნების ბაზრების თვისებებითა და ტენდენციებით. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, შესაბამისად, განიცდის ხშირ ცვლილებებსა და ინტერპრეტაციებს. ეს ყველაფერი ზრდის რისკებს და სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ ბანკის მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს

ზეგავლენის შეფასებას. ხელმძღვანელობის ხედვა და შეფასება მომავალი ბიზნეს გარემოს განვითარებასა და ტენდენციებზე, შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი სიტუაციისაგან.

2 მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(c) ფუნქციური და ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც წარმოადგენს ბანკის ფუნქციურ ვალუტას. წინამდებარე ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებშიც სხვაგვარადაა მითითებული.

(d) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, ხელმძღვანელობისგან ითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები ხორციელდება პროცესის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ შეიძლება ქონდეთ გავლენა.

ინფორმაცია შეფასებების არასარწმუნოების და სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს არსებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ აღწერილია მე-10 (ს) შენიშვნაში - ძირითადი დაშვებები და მსჯელობები სესხის გაუფასურების შეფასებისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ბანკის მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის.

(a) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ბანკის შესაბამის ვალუტებში ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ბანკის ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული კონვერტაციიდან მიღებული მოგება/ზარალი არის სხვაობა ამორტიზირებულ ღირებულებას, ფუნქციურ ვალუტაში პერიოდის დასაწყისში, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტის და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში, და ამორტიზირებულ ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, დაკონვერტირებული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისას. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით დაფიქსირებული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით. კონვერტაციის დროს ვალუტის გაცვლით მიღებული სხვაობა აისახება მოგება-ზარალში.

(b) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთს სალაროში, საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებასა და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას (3 თვეზე ნაკლები საკონტრაქტო ვადიანობით). ფულისა და მისი ექვივალენტების რეალური ღირებულების ცვლილება წარმოადგენს უმნიშვნელო რისკს და ბანკის მიერ გამოიყენება მოკლევადიანი ვალდებულებების მომსახურებისათვის.

საქართველოს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან შექმნან რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში, რომელზეც მიიღებენ საპროცენტო სარგებელს. სავალდებულო რეზერვის დონე განისაზღვრება ფინანსური ინსტიტუტის მიერ მოზიდული ფინანსური რესურსების ოდენობიდან გამომდინარე. აღნიშნული რეზერვის გამოყენება ბანკს არ შეუძლია ყოველდღიური ოპერაციების განხორციელებისათვის და არ განიხილება ფულადი სახსრების ექვივალენტად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან დადგენილ ვადებში განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კვოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი:

- დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს გაყიდვას
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივს მოგებაში ან ზარალში ასახვით
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს მას, როგორც გასაყიდად არსებულ აქტივს ან
- შეიძლება ვერ ნახოს მნიშვნელოვანი ამონაგები საკუთარი საწყისი ინვესტიციიდან, გარდა არასაკრედიტო გაუარესების გამო.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური ანგარიშგებაში წარმოებს იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ბანკი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების შეძენის სტანდარტული შემთხვევები აღირიცხება ანგარიშსწორების წარმოების თარიღისთვის.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, დამატებული ოპერაციის ღირებულება (როდესაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში), რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სესხებს და მოთხოვნებს, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისათვის, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, გამოკლებული ნებისმიერი სახის გაუფასურების ზარალით გამოწვეული ჩამოწერა. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი საოპერაციო ხარჯების ჩათვლით, შესულია შესაბამისი

ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(v) რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება ვალდებულების დასაფარად, კანონიერი გარიგების საფუძველზე, ბაზრის მონაწილეებს შორის რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ბანკი განსაზღვრავს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასის მიხედვით. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ მუდმივ ინფორმაციას.

თუ აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი არ არის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს შესაბამის დაკვირვებად მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არადაკვირვებად მონაცემებს, ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება გარიგების ფასია, ანუ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურება. თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, განსხვავდება ოპერაციის ფასისაგან და ასევე, რეალური ღირებულება არ დასტურდება არც კოტირებული ფასით მსგავსი ტიპის ფინანსური აქტივისათვის ან ვალდებულებისათვის აქტიურ ბაზარზე, არც შეფასების იმ მეთოდის საფუძველზე, რომელიც იყენებს მხოლოდ დაკვირვების ობიექტი ბაზრების მონაცემებს, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და კორექტირდება რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ოპერაციის ფასს შორის წარმოქმნილი სხვაობით. შემდეგ, სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად დასრულდება დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით ან გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი, მოგება-ზარალში აღიარდება, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა ბანკი გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან

გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს აქტივის კონტროლს. ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მაშინ, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვადა სრულდება, უქმდება ან იწურება.

ბანკი ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომლებიც გადახდისათვის უიმედოდაა მიჩნეული.

(viii) ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ურთიერთჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის იურიდიული უფლება და განზრახვა წარდგენილ იქნას ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თუ ძირითადი საშუალებები ისეთი მსხვილი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთაც სხვადასხვა სასარგებლო მოხმარების ვადა აქვთ, მათი ასახვა ხდება ცალ-ცალკე.

(ii) ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ხოლო ბანკის მიერ შექმნილი აქტივების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც აქტივის მშენებლობა დასრულდება, მზად იქნება საექსპლუატაციოდ. ძირითადი საშუალებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- | | |
|-------------------------------------|--------|
| - იჯარით აღებული ობიექტების რემონტი | 5 წელი |
| - კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა | 5 წელი |
| - ავეჯი და მოწყობილობები | 5 წელი |
| - სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი |

იჯარით აღებული ობიექტების რემონტის ცვეთა ხორციელდება საიჯარო ვადის ბოლომდე.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების პერიოდისათვის და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(e) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაცია მოგება-ზარალში აისახება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მოხმარების მიახლოებითი ვადები 6-დან 7 წლამდეა.

(f) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ბანკი აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, მაშინ ბანკი განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე შემთხვევით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელმაც/რომლებმაც ზეგავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მომავალი პერიოდის ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევას, სესხის რესტრუქტურისა ან ავანსის გაცემას ისეთი პირობებით, რომლებსაც ბანკი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა, მინიშნებებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ ცვლილებებს, მაგალითად, კომპანიაში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისა და სხვა მოთხოვნებისგან. ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით.

ბანკი პირველ რიგში განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სესხები და სხვა მოთხოვნები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, მას სესხი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებისა და მოთხოვნების ჯგუფში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება ან გრძელდება გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას, მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის, მათ შორის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დისკონტირებული გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების, მიმდინარე ღირებულებას შორის. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის, აუცილებელი შესამჩნევი მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავსი მსესხებლების შესახებ ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები მცირეა. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით ბანკი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ აღდგენითი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

როდესაც ბანკის ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად, ხდება მისი ჩამოწერა. ბანკი ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს).

(ii) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მინიშნებები. გუდვილის ანაზღაურებადი თანხა განისაზღვრება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უდიდესი თანხის საფუძველზე: აქტივის გამოყენებითი ღირებულება და მისი რეალური ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგება-ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის საბალანსო ღირებულებას ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის აღიარება არ მოხდებოდა.

(g) საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

საქმიანობის პროცესში, ბანკი იღებს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებს, რომელიც მოიცავს ფინანსურ გარანტიებსა და აუთვისებელ საკრედიტო ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტია წარმოადგენს გამოუთხოვად უზრუნველყოფას განხორციელდეს გადახდები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარის/მხარეების მიმართ მის ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულების გარანტიის თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით (დაკავშირებული ოპერაციის ხარჯების გამოკლებით) და შემდგომ მისი შეფასება ხდება თავდაპირველად აღიარებული უდიდესი თანხით, დაგროვილი ცვეთის ან ზარალის რეზერვის გამოკლებით. ზარალის რეზერვი ფინანსური გარანტიების

ფარგლებში და სხვა საკრედიტო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ზარალი ითვლება შესაძლოდ და საიმედოდ შეიძლება მისი შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების გარანტია და სხვა საკრედიტო ვალდებულების დებულებები მოცემულია სხვა ვალდებულებებში.

(h) სავალდებულო რეზერვი

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ფილიალს არ გააჩნია დარეგისტრირებული საწესდებო კაპიტალი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკად ტრანსფორმაციამდე, 2014 წლის 31 დეკემბრით ფილიალს გააჩნდა მხოლოდ სავალდებულო რეზერვები.

(i) დაბეგვრა

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რაც უკავშირდება უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალს ან ოპერაციებს აქციონერებთან. ამ შემთხვევაში მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე წლის განმავლობაში, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშგებო თარიღისთვის, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება იმ დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომლებიც არსებობს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი პერიოდისათვის, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რასაც ბანკი მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის მიღებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(j) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებული ოპერაციის ხარჯებთან ერთად, ექვემდებარება გადავადებას და ამორტიზირებას საპროცენტო შემოსავლის მიმართ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოების და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გათვალისწინებით საოპერაციო იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო სტიმულირების აღიარება ხორციელდება, როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2015 ლარი	2014 ლარი
საპროცენტო შემოსავალი		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	671,281	211,915
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,095,405	4,847,889
	12,766,686	5,059,804
საპროცენტო ხარჯი		
ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	(3,437,228)	(87,660)
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(2,436,974)	(205,885)
სხვა ნასესხები სახსრები	(185,489)	(1,170,102)
	(6,059,691)	(1,463,647)
	6,706,995	3,596,157

გაუფასურებულ ან ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივებზე 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაგროვდა 6,220,062 ლარის ოდენობის (2014: 1,371,760 ლარი) საპროცენტო შემოსავალი.

5 გაუფასურების ზარალი

	2015 ლარი	2014 ლარი
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,324,291	1,090,899

6 პერსონალზე გაწეული ხარჯები

	2015 ლარი	2014 ლარი
თანამშრომელთა ხელფასები	2,739,380	1,696,384

7 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 ლარი	2014 ლარი
საოპერაციო იჯარის ხარჯები	813,804	411,689
ცვეთა და ამორტიზაცია	563,235	288,586
პროფესიული მომსახურების ხარჯები	350,055	237,704
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ხარჯები	115,214	73,062
მივლინების ხარჯები	58,409	72,991
წარმომადგენლობითი ხარჯები	47,611	36,422
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	39,827	10,465
კომუნალური ხარჯები	32,000	23,787
მიმდინარე შეკეთების ხარჯები	21,345	14,485
დაზღვევის ხარჯები	18,193	7,996
ოფისის ხარჯები	14,792	26,900
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	9,885	3,114
სხვა ხარჯები	117,457	66,760
	2,201,827	1,273,961

8 მოგების გადასახადის ხარჯი

	2015 ლარი	2014 ლარი
მიმდინარე წლის მოგების გადასახადი	(23,269)	-
მომრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებში და ვალდებულებებში, გამოწვეული დროებითი სხვაობების წარმოშობისა და უკუგატარების შედეგად	(181,831)	30,393
სულ მოგების გადასახადი/სარგებელი	(205,100)	30,393

2015 წელს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების განაკვეთი შეადგენს 15%-ს (2014: 15%).

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	2015 ლარი	%	2014 ლარი	%
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე	1,875,455	100%	(140,356)	100%
მოგების გადასახადი მოქმედი განაკვეთით	(281,318)	(15%)	21,053	15%
დაუბეგრავი შემოსავალი	76,218	4%	9,340	7%
	(205,100)	(11%)	30,393	22%

(a) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გამოსაქვითი დროებითი სხვაობები არ კარგავენ ძალას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

დროებითი სხვაობების მოძრაობები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	ნაშთი 1 იანვარი 2015	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 31 დეკემბერი 2015
ძირითადი საშუალებები	(20,493)	28,121	7,628
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	(209,952)	(209,952)
საგადასახადო ზარალის გადატანა	162,659	-	162,659
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	142,166	(181,831)	(39,665)

ლარი	ნაშთი 1 იანვარი 2014	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 31 დეკემბერი 2014
ძირითადი საშუალებები	(18,741)	(1,752)	(20,493)
საგადასახადო ზარალის გადატანა	130,514	32,145	162,659
	111,773	30,393	142,166

9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2015 ლარი	2014 ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	2,646,297	2,242,182
ნოსტრო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში	528,125	338,950
ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში		
- საკრედიტო რეიტინგი BBB-	17,710,063	6,069,111
- საკრედიტო რეიტინგი BB-	-	823,494
სულ ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში	17,710,063	6,892,605

	2015 ლარი	2014 ლარი
ფულადი სახსრების ექვივალენტები		
ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში		
- საკრედიტო რეიტინგი BBB-	13,503,329	4,560,752
- რეიტინგის გარეშე	4,501,086	-
სულ ფულადი სახსრების ექვივალენტები	18,004,415	4,560,752
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,888,900	14,034,489

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არ არის გაუფასურებული.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია ნაშთი სამ ბანკში (2014: სამი ბანკი), რომელთა ნაშთებიც აჭარბებს კაპიტალის 10%-ს. ამ ნაშთების მთლიანი ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 34,556,529 ლარს (2014: 11,453,357 ლარი). ზემოაღნიშნული რეიტინგები ეყრდნობა სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მონაცემებს.

10 კლიენტებზე გაცემული სესხები

	2015 ლარი	2014 ლარი
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები		
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები	140,506,626	54,703,052
მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები	2,867,131	14,193,860
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	143,373,757	68,896,912
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო სესხები	3,343,596	776,363
იპოთეკური სესხები	1,296,903	835,639
ოვერდრაფტები	22,436	10,011
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	4,662,935	1,622,013
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	148,036,691	70,518,925
გაუფასურების რეზერვი	(2,752,066)	(1,427,775)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	145,284,625	69,091,150

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ლარი	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ლარი	სულ ლარი
ნაშთი წლის დასაწყისში	1,395,335	32,440	1,427,775
წმინდა დარიცხვა	1,172,553	151,738	1,324,291
ნაშთი წლის ბოლოს	2,567,888	184,178	2,752,066

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ლარი	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ლარი	სულ ლარი
ნაშთი წლის დასაწყისში	334,059	2,817	336,876
წმინდა დარიცხვა	1,061,276	29,623	1,090,899
ნაშთი წლის ბოლოს	<u>1,395,335</u>	<u>32,440</u>	<u>1,427,775</u>

(a) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვი ლარი	წმინდა სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, % %
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები				
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე	83,059,359	(2,511,891)	80,547,468	3.02%
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნებით, მაგრამ არგაუფასურებულნი	57,447,267	-	57,447,267	0.00%
სულ კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>140,506,626</u>	<u>(2,511,891)</u>	<u>137,994,735</u>	<u>1.79%</u>
მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე	2,680,824	(52,358)	2,628,466	1.95%
ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები: -90 დღეზე ნაკლები	186,307	(3,639)	182,668	1.95%
ვადაგადაცილების მქონე სესხები	<u>2,867,131</u>	<u>(55,997)</u>	<u>2,811,134</u>	<u>1.95%</u>
სულ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები	<u>143,373,757</u>	<u>(2,567,888)</u>	<u>140,805,869</u>	<u>1.79%</u>
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები				

	მთლიანი სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვი ლარი	წმინდა სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, % %
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
სამომხმარებლო სესხები				
- არავადაგადაცილებული -90 დღეზე ნაკლები	3,069,352	(130,221)	2,939,131	4.24%
ვადაგადაცილების მქონე სესხები -90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხები	246,338	(10,811)	235,527	4.39%
27,906	(27,906)	-	100.00%	
იპოთეკური სესხები				
- არავადაგადაცილებული -90 დღეზე ნაკლები	1,183,536	(12,221)	1,171,315	1.03%
ვადაგადაცილების მქონე სესხები	113,368	(1,171)	112,197	1.03%
ოვერდრაფტები				
- არავადაგადაცილებული	22,435	(1,849)	20,586	8.24%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	4,662,935	(184,178)	4,478,756	3.95%
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	148,036,691	(2,752,066)	145,284,625	1.86%

გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების მქონე სესხებზე, ჯამური მოცულობით 57,447,267 ლარი, არ განისაზღვრა გაუფასურების რეზერვი, რადგან აღნიშნული სესხები სრულად უზრუნველყოფილია დეპოზიტებით, იხ. შენიშვნა 10 (c) (i). მაშასადამე, საკრედიტო რისკი ამ სესხების მიმართ ფაქტიურად არ არსებობს და მათი გადუფოლტების შემთხვევაში, დავალიანების დაფარვა მოხდება სესხების უზრუნველყოფისთვის დაჯავშნული დეპოზიტებიდან. აღნიშნული სესხებისათვის, დეპოზიტები უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით, ერთი მსესხებლის დაკრედიტების მაქსიმალური ლიმიტის დასაცავად.

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვი ლარი	წმინდა სესხები ლარი	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, % %
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები:	824,321	(16,777)	807,544	2.04%
-90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების მქონე სესხები	13,369,540	(280,760)	13,088,779	2.10%
სულ მცირე და საშუალო კომპანიებზე გაცემული სესხები	14,193,860	(297,538)	13,896,323	2.10%
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები:	54,703,051	(1,097,798)	53,605,253	2.01%
-90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების მქონე სესხები	-	-	-	-
სულ კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები	54,703,051	(1,097,798)	53,605,253	2.01%
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	68,896,912	(1,395,335)	67,501,577	2.03%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები იპოთეკური სესხები				
- არავადაგადაცილებული	835,639	(16,713)	818,926	2.00%
ოვერდრაფტები	10,011	(200)	9,811	2.00%
- არავადაგადაცილებული სამომხმარებლო სესხები	776,363	(15,527)	760,836	2.00%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	1,622,013	(32,440)	1,589,573	2.00%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	70,518,925	(1,427,775)	69,091,150	2.00%

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესტრუქტურირებული სესხების
 ღირებულება შეადგენს 48,173,206 ლარს (2014: ნული).

(b) სესხის გაუფასურების შეფასებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მსჯელობები

(i) *ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შეფასება*

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან მსესხებლად განიხილება ისეთი კლიენტები, რომელთა ჯამური დავალიანება ბანკის კაპიტალის 2%-ს აღემატება. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისათვის, გაუფასურების რისკის განსაზღვრა ხდება შემდეგი გარემოებების ანალიზის საფუძველზე:

- სესხი წარმოადგენს უმოქმედო სესხების კატეგორიას
- სესხი არის რესტრუქტურირებული
- სესხის უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა
- მსესხებელს შეექმნა ფულად ნაკადებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები
- არსებობს აშკარა გაუარესება მსესხებლის მხრიდან ვალდებულებების მომსახურებაში

გაუფასურების თანხა არის სხვაობა სესხის მიმდინარე საბალანსო ღირებულებასა და მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დადისკონტებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები მოიცავს ნებისმიერი ტიპის ფინანსურ ოპერაციებს, ფულადი სახსრების წყაროებსა და უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს, რომლითაც მოხდება მსესხებლის საკრედიტო ვალდებულებების დაფარვა.

(ii) *კოლექტიურად შეფასებული სესხები*

კოლექტიურად შეფასებული სესხების გაუფასურების რისკის განსაზღვრისათვის, ბანკი აანალიზებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სესხის ტიპი
- სესხის უზრუნველყოფის ტიპი
- ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა
- მსესხებლის საქმიანობის სფერო/სექტორი

ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ბანკი ქმნის ქვემოთ მოცემულ ჯგუფებს გაუფასურების კოლექტიური შეფასებისათვის და განსაზღვრავს რეზერვის განაკვეთს თითოეული მათგანისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ფინანსური ინსტიტუტებისათვის მიწოდებული საქართველოს საბანკო სექტორის მონაცემებზე დაყრდნობით.

მიღებული გაუფასურების რეზერვის განაკვეთები შემდეგია:

- იპოთეკური სესხები: 1.03%
- სამომხმარებლო სესხები: 4.40%
- თანამშრომლებზე გაცემული სესხები: 1.01%

- ოვერდრაფტები: 8.24%
- მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები: 1.95%
- კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები: 2%-8% (განიხილება ეკონომიკური გარემო და ბაზრის გაუფასურების დანაკარგის გამოცდილება).

(c) უზრუნველყოფის ანალიზი

(i) იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება ინდივიდუალურ საკრედიტო შეფასებასა და გაუფასურების ტესტირებას. იურიდიული პირის ზოგადი გადახდისუნარიანობა, როგორც წესი, სესხის ხარისხის ყველაზე სწორი ინდიკატორია. თუმცა, სესხის უზრუნველყოფა, დამატებით გარანტიას წარმოადგენს და ბანკი ზოგადად ითხოვს იურიდიული პირებისაგან სესხის უზრუნველყოფას.

შემდეგ ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფაზე, გაუფასურების გათვალისწინებით და უზრუნველყოფის სახეობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2015 ლარი	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება: შეფასებული, სესხის გაცემის თარიღით
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე		
ფულადი სახსრები და დეპოზიტები	36,744,219	36,744,219
უძრავი ქონება	45,958,007	45,958,007
არაუზრუნველყოფილი	473,708	-
სულ სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე	83,175,934	82,702,226
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნებით, მაგრამ არაგაუფასურებული		
ფულადი სახსრები და დეპოზიტები	57,447,267	57,447,267
სულ სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნებით, მაგრამ არაგაუფასურებული	57,447,267	57,447,267
ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები		
არაუზრუნველყოფილი	182,668	-
სულ ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები	182,668	-
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	140,805,869	140,149,493

31 დეკემბერი 2014 ლარი	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება: შეფასებული სესხის გაცემის თარიღით	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება არ არის განსაზღვრული
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე			
ფულადი სახსრები და დეპოზიტები	18,437,187	18,437,187	-
უძრავი ქონება	35,931,685	35,931,685	-
არაუზრუნველყოფილი	43,926	-	43,926
სულ სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე	54,412,798	54,368,872	43,926
ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები			
უძრავი ქონება	13,088,779	13,088,779	-
სულ ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები	13,088,779	13,088,779	-
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	67,501,577	67,457,651	43,926

ზემოთ მოყვანილი ცხრილები არ შეიცავენ ჭარბ უზრუნველყოფას.

ბანკს აქვს გარკვეული სესხები, რომელთა უზრუნველყოფის რეალური ღირებულება არ არის განსაზღვრული. დანარჩენი სესხებისათვის, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება განახლებულია ანგარიშგების თარიღისათვის. რეალურ ღირებულებად აღებულია უზრუნველყოფის შეფასების მომენტისათვის დადგენილი ფასი.

სესხებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფილია რამდენიმე სახის უზრუნველყოფილით, გაუფასურების რისკის შეფასებისათვის გამოიყენება ყველაზე რელევანტური უზრუნველყოფა. ფიზიკური პირის თავდებობები, როგორცაა მაგალითად მცირე და საშუალო ზომის კომპანიის აქციონერი, არ განიხილება გაუფასურების შეფასებისას. შესაბამისად, ამ ტიპის უზრუნველყოფის მქონე სესხები და ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხების არაუზრუნველყოფილი ნაწილი მოცემულია, როგორც არაუზრუნველყოფილი.

სესხების, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, დაფარვა დამოკიდებულია მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე. ამიტომ, ბანკი ასეთი სესხების უზრუნველყოფების ღირებულებას არ აახლებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

(ii) ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

იპოთეკური და ნაწილობრივ სამომხმარებლო სესხები, გაიცემა უძრავი ქონების უზრუნველყოფით. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით, ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემა ხდება, სესხის გაცემის მომენტისათვის, უზრუნველყოფის რეალური ღირებულების მაქსიმუმ 70%-ის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოყვანილია ინფორმაცია ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების შესახებ, გაუფასურების გათვალისწინებით:

	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება: შეფასებული სესხის გაცემის თარიღით
31 დეკემბერი 2015		
ლარი		
არავადაგადაცილებული სესხები	1,171,315	1,171,314
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების მქონე სესხები	112,197	112,198
სულ იპოთეკური სესხები	1,283,512	1,283,512
არავადაგადაცილებული სესხები	2,939,131	2,939,132
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების მქონე სესხები	235,527	235,526
სულ სამომხმარებლო სესხები	3,174,658	3,174,658
	კლიენტებზე გაცემული სესხები, საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება: შეფასებული სესხის გაცემის თარიღით
31 დეკემბერი 2014		
ლარი		
არავადაგადაცილებული სესხები	818,926	818,926
სულ იპოთეკური სესხები	818,926	818,926
არავადაგადაცილებული სესხები	41,862	41,862
სულ სამომხმარებლო სესხები	41,862	41,862

ზემოთ მოყვანილი ცხრილები არ შეიცავენ ჭარბ უზრუნველყოფას.

ზემოთ აღნიშნული გარკვეული სესხებისთვის ბანკი ანახლებს სესხის გაცემისას შეფასებული უზრუნველყოფის ღირებულებას, უძრავი ქონების ფასის დაახლოებითი ცვლილების გათვალისწინებით. ბანკს ასევე შეუძლია მოიპოვოს უზრუნველყოფის ინდივიდუალური შეფასება ყოველი საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები. დანარჩენი სესხებისთვის, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება შეფასებული იყო სესხის გაცემისას და არ იყო კორექტირებული შემდგომ ცვლილებებთან მიმართებაში.

ოვერდრაფტებისა და ნაწილობრივ სამომხმარებლო სესხებისათვის, არ არის უზრუნველყოფა ან შეუძლებელია უზრუნველყოფის რეალური ღირებულების დადგენა. ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული სესხების დაფარვა დამოკიდებულია მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე და არა უზრუნველყოფაზე.

(d) საკრედიტო პორტფელის ანალიზი სამრეწველო დარგებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით

სესხები ძირითადად გაცემულია საქართველოში მცხოვრებ/მოქმედ კლიენტებზე, რომლებიც საქმიანობენ შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

	2015 ლარი	2014 ლარი
ვაჭრობა და მომსახურება	42,039,157	46,768,395
ჯანდაცვა	65,969,709	13,660,365
უძრავი ქონება	33,372,747	6,771,797
სოფლის მეურნეობა	1,992,143	1,696,355
ფიზიკური პირები	4,662,935	1,622,013
	148,036,691	70,518,925
გაუფასურების რეზერვი	(2,752,066)	(1,427,775)
	145,284,625	69,091,150

(e) მნიშვნელოვანი საკრედიტო კონცენტრაცია

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნია რვა მსესხებელი ან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი (2014:ცხრა),რომელთა სასესხო დავალიანება ბანკის კაპიტალის 10%-ზე მეტია. აღნიშნული სესხების ჯამური დავალიანება 2015 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 128,371,627ლარს (2014: 66,964,689ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაცვის მიზნით, ბანკმა მიიღო დეპოზიტები ან სესხები მშობელი კომპანიისაგან, რვა მსესხებლის დასაფინანსებლად (2014: ექვსი), რომელთა ნაშთები აღემატება ბანკის კაპიტალის 10%-ს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სესხების ჯამური ღირებულება შეადგენს 128,371,627 ლარს (2014: 44,684,064 ლარი). მშობელი კომპანიისაგან მიღებულ დეპოზიტებს ან სესხებს აქვთ იგივე ვადიანობა, რაც ამ რესურსით დაფინანსებულ სესხებს. მშობელი კომპანიის მიერ მათი ამ ვადაზე ადრე გამოთხოვა შეუძლებელია.

(f) საკრედიტო პორტფელის ვადიანობა

ინფორმაცია სასესხო პორტფელის დაფარვის ვადის შესახებ წარმოდგენილია მე-15 (f) შენიშვნაში, რომელიც ასახავს დარჩენილ პერიოდს ანგარიშგების თარიღიდან სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე. ბანკის მიერ გაცემული სესხების მოკლევადიანი წარმომავლობიდან და ხასიათიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სესხების უმეტესი ნაწილის დაფარვის ვადა განახლდება. შესაბამისად, სესხის პორტფელის დაფარვის რეალური ვადიანობა შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული.

11 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერია ლური აქტივები	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,254,504	285,375	221,257	102,703	541,603	2,405,441
შესყიდვები	841,218	227,525	122,808	64,988	187,411	1,443,950
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,095,722	512,900	344,065	167,691	729,014	3,849,391
ცვეთა და ამორტიზაცია						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(205,945)	(88,904)	(54,149)	(27,388)	(78,510)	(454,896)
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(324,651)	(70,320)	(46,570)	(32,205)	(89,490)	(563,235)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(530,596)	(159,224)	(100,719)	(59,593)	(168,000)	(1,018,131)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,565,126	353,676	243,346	108,098	561,014	2,831,260
ლარი	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერია ლური აქტივები	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	377,561	173,926	98,346	102,703	424,995	1,177,531
შესყიდვები	876,943	111,449	122,911	-	116,607	1,227,910
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,254,504	285,375	221,257	102,703	541,602	2,405,441
ცვეთა და ამორტიზაცია						
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(76,992)	(45,963)	(23,918)	(6,847)	(12,590)	(166,310)
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(128,953)	(42,941)	(30,231)	(20,541)	(65,920)	(288,586)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(205,945)	(88,904)	(54,149)	(27,388)	(78,510)	(454,896)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,048,559	196,471	167,108	75,315	463,092	1,950,545

12 ბანკისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები

	2015 ლარი	2014 ლარი
ვოსტრო ანგარიშები	2,800,184	2,397,240
ვალიანი დეპოზიტები	123,424,010	6,534,467
	126,224,194	8,931,707

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰყავს ორი ბანკი (2014: ერთი), რომელთა ჯამური ნაშთი აღემატება ბანკის კაპიტალის 10%-ს. აღნიშნული ნაშთების ჯამური ღირებულება შეადგენს 126,224,194 ლარს (2014: 8,931,707 ლარი).

ვალიანი დეპოზიტების დიდი ნაწილი მოზიდულია მშობელი კომპანიისაგან, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დასაცავად. იხილეთ შენიშვნა 10 (ე).

13 კლიენტებისაგან მიღებული მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები

	2015 ლარი	2014 ლარი
მიმდინარე ანგარიშები და შემნახველი დეპოზიტები		
- ფიზიკური პირები	6,054,218	1,125,819
- იურიდიული პირები	3,275,991	6,776,595
ვალიანი დეპოზიტები		
- ფიზიკური პირები	40,551,262	19,086,395
- იურიდიული პირები	5,134,893	5,853,971
	55,016,364	32,842,780

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა მოიზიდა 35,085,285 ლარის დეპოზიტები (2014: 18,636,000 ლარი) რომელიც გამოყენებული იყო ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნია ექვსი კლიენტი (2014: შვიდი), რომელთა ნაშთების ჯამური ღირებულება აღემატება ბანკის კაპიტალის 10%-ს. აღნიშნული ნაშთების ჯამური ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 46,031,488 ლარს, (2014: 29,912,799 ლარი).

14 სხვა ნასესხები სახსრები

	2015 ლარი	2014 ლარი
Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-სგან მიღებული სესხი	-	36,708,550

2015 წელს მშობელი კომპანია Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-სგან მიღებული სესხები გადავიდა ბანკებისაგან მიღებულ დეპოზიტებსა და საბანკო ანგარიშების ნაწილში. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რადგან ფილიალი გადაკეთდა ბანკად.

15 რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლი

(a) კორპორატიული მმართველობა

ბანკი დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს დირექტორთა საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სრულ მართვასა და ფუნქციონირებაზე.

(b) შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბანკში შიდა კონტროლის მექანიზმების შექმნაზე, განხორციელებაზე და მართვაზე.

შიდა კონტროლის მიზანია:

- რისკების სათანადო და ყოვლისმომცველი შეფასება და მართვა
- საქმიანობის, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სათანადო ფუნქციები, მათ შორის ოპერაციების სათანადო ავტორიზაცია, დამუშავება და აღრიცხვა
- საბუღალტრო ჩანაწერების, ადმინისტრაციული ინფორმაციის, მარეგულირებლის ანგარიშგების და ა.შ. სისრულე, სიზუსტე და დროულობა
- IT-სისტემების საიმედოობა, მონაცემებისა და სისტემების ინტეგრაცია და დაცვა
- თაღლითური და უკანონო საქმიანობის თავიდან აცილება, მათ შორის აქტივების მითვისება
- კანონებისა და რეგულაციების დაცვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების გამოვლენასა და შეფასებაზე, კონტროლის დაწესებასა და მათი ეფექტურობის მონიტორინგზე. ხელმძღვანელობა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობის მონიტორინგს ახორციელებს და პერიოდულად აწესებს დამატებით კონტროლს ან ცვლის არსებულს საჭიროებისამებრ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ბანკი ასრულებს რისკის მართვასთან და შიდა კონტროლის სისტემებთან დაკავშირებულ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს, მათ შორის, შიდა აუდიტთან დაკავშირებულ მოთხოვნას და რისკის მართვა და შიდა კონტროლის სისტემები შეესაბამება ოპერაციების მასშტაბებს, ხასიათსა და სირთულეს.

(c) რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკების მართვა ფუნდამენტურია საბანკო საქმიანობისათვის და ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ბანკს ძირითადად წარმოეშება შემდეგ რისკები: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საოპერაციო რისკი.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, გაანალიზება და მართვა, შესაბამისი რისკების შეზღუდვებისა და კონტროლის დაწესება და რისკების დონის უწყვეტი მონიტორინგი. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რათა გათვალისწინებული იქნას საბაზრო პირობების, პროდუქტებისა და მომსახურებების ცვლილებები და დაინერგოს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რისკების მართვის სისტემის, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების გადახედვაზე.

ხელმძღვანელობას ევალება, რისკების შემცირების მონიტორინგი და განხორციელება და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანიის საქმიანობა განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობს. რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რისკების საყოველთაო მართვაზე და უზრუნველყოფს საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელებას ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლენა, შეფასება, მართვასა და შეტყობინებასთან დაკავშირებით. ის ანგარიშვალდებულია უშუალოდ ხელმძღვანელობასთან.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკების მართვა და კონტროლი, როგორც საპორტფელო, ასევე საოპერაციო დონეზე, ხდება საკრედიტო კომიტეტებისა და რისკების მართვის დანაყოფის მიერ.

გარე და შიდა რისკის ფაქტორების გამოვლენა და მართვა ხდება ორგანიზაციის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკის ფაქტორების გამოვლენას და რისკის შემცირების პროცედურების საკმარისობის განსაზღვრას.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა სახის საფასო რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების ღია პოზიციებიდან და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც რეაგირებს ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის კურსის რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე, რისკის ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საბაზრო რისკების მართვისას ბანკი ადგენს ღია პოზიციების შეზღუდვებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო განაკვეთთან და ვალუტის პოზიციასთან მიმართებაში. ამის მონიტორინგი, განხილვა და დამტკიცება მუდმივად ხდება ხელმძღვანელობის მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში პოტენციური ცვლილებების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ბანკზე შესაძლოა ზემოქმედებდეს ფინანსური პოზიციისა და ნაღდი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. საპროცენტო ზღვარი შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

საპროცენტო განაკვეთის სხვაობების ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების სხვაობების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები საპროცენტო განაკვეთების მდგომარეობების მიხედვით:

ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2015						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,888,900	-	-	-	-	38,888,900
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	25,819,008	-	-	-	-	25,819,008
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,662,984	11,938,685	20,305,243	76,667,500	25,710,213	145,284,625
	75,370,892	11,938,685	20,305,243	76,667,500	25,710,213	209,992,533
ვალდებულებები						
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	3,041,235	8,167,373	53,667,869	11,556,541	49,791,176	126,224,194
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	18,787,076	12,049,100	5,993,544	18,186,644	-	55,016,364
	21,828,310	20,216,474	59,661,413	29,743,184	49,791,176	181,240,558
	53,542,581	(8,277,788)	(39,356,170)	46,924,316	(24,080,964)	28,751,975

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2014						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14,034,489	-	-	-	-	14,034,489
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	5,436,305	-	-	-	-	5,436,305
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,231,719	2,152,424	5,459,894	54,511,442	3,735,671	69,091,150
	22,702,513	2,152,424	5,459,894	54,511,442	3,735,671	88,561,944
ვალდებულებები						
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	8,931,707	-	-	-	-	8,931,707
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	14,098,397	1,506,083	-	-	17,238,300	32,842,780
სხვა ნასესხები სახსრები	1,524,865	1,881,071	4,270,278	27,789,935	1,242,401	36,708,550
	24,554,969	3,387,154	4,270,278	27,789,935	18,480,701	78,483,037
	(1,852,456)	(1,234,730)	1,189,616	26,721,507	(14,745,030)	10,078,907

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილში ასახულია სარგებლიანი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის გასაშუალოებულ მაჩვენებელს.

	2015			2014		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო
საპროცენტო აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8.8%	-	-	3.4%	0.5%	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	11.9%	10.8%	10.5%	8.7%	9.0%	-
საპროცენტო ვალდებულებები						
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	-	3.9%	-	-	2.3%	-
კლიენტების მიმდინარე ანგარიშ და დეპოზიტები	4.0%	6.4%	2.5%	4.5%	6.7%	-
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	-	4.7%	-

საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა საპროცენტო განაკვეთის სხვაობის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სენსიტიურობის მონიტორინგთან ერთად. წმინდა მოგების სენსიტიურობის ანალიზი საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებზე (რისკის გადაფასება) ეყრდნობა სიმეტრიული ვარდნისა ან ზრდის გამარტივებულ 100-ბაზისიანი პუნქტის გამარტივებულ სცენარს და საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2015 ლარი	2014 ლარი
100 bp პარალელური ვარდნა	211,317	103,960
100 bp პარალელური ზრდა	(211,317)	(103,960)

(ii) სავალუტო რისკი

ბანკის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში.

სავალუტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება იცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შესაბამისად. სავალუტო რისკის მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით ბანკის სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარი	დოლარი ლარი	ლირა ლარი	ფუნტი სტერლინგი ლარი	სულ ლარი
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	868,098	17,207,949	302,048	916,577	19,294,672
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	295,816	25,523,192	-	-	25,819,008
კლიენტებზე გაცემული სესხები სხვა ფინანსური აქტივები	158,773	135,463,948	-	-	135,622,721
	-	9,579	-	-	9,579
სულ აქტივები	1,322,687	178,204,668	302,048	916,577	180,745,980
ვალდებულებები					
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	1,185,041	124,437,786	-	601,367	126,224,194
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	27,291	53,418,850	10,969	-	53,457,110
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	24,452	-	-	24,452
სულ ვალდებულებები	1,212,332	177,881,088	10,969	601,367	179,705,756
ნეტო პოზიცია	110,355	323,580	291,079	315,210	1,040,224

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარი	დოლარი ლარი	ლირა ლარი	სულ ლარი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	942,106	7,041,378	489,419	8,472,903
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	161,678	5,274,627	-	5,436,305
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	61,256,743	-	61,256,743
სხვა ფინანსური აქტივები	-	689,310	-	689,310
სულ აქტივები	1,103,784	74,262,058	489,419	75,855,261
ვალდებულებები				
ბანკებისგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	702,029	8,229,678	-	8,931,707
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	5,406	29,445,497	34,106	29,485,009
სხვა ნასესხები სახსრები	-	36,708,550	-	36,708,550
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	689,310	-	689,310
სულ ვალდებულებები	707,435	75,073,035	34,106	75,814,576
ნეტო პოზიცია	396,349	(810,977)	455,313	40,685

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთაა მითითებული, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. აღნიშნული ანალიზი არ ითვალისწინებს გადასახადებს და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობას, რაც ბანკმა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს შესაძლოდ ჩათვალა. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია.

	2015 ლარი	2014 ლარი
20% აშშ დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში	55,009	(137,866)
20% ევროს გამყარება ლართან მიმართებაში	18,760	67,379
20% თურქული ლირას გამყარება ლართან მიმართებაში	49,483	77,403
20% ფუნტი სტერლინგის გამყარება ლართან მიმართებაში	53,586	-

ლარის გამყარებას ზემოთ მოყვანილ ვალუტებთან, 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა თანაბარი, თუმცა, საწინააღმდეგო ეფექტი ნაჩვენებ თანხაზე, იმის დაშვებით, რომ სხვა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

(e) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის, კლიენტის ან სხვა კონტრაგენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბანკს შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის

შეზღუდვის ინსტრუქცია და შექმნილია საკრედიტო კომიტეტი, რომელიც ახორციელებს საკრედიტო რისკების აქტიურ მონიტორინგს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფების შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებთან და სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების მუდმივი კონტროლის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საკრედიტო განაცხადების დაფინანსების ან უარის თქმის შესახებ. კომიტეტზე, დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები, ეყრდნობა ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში განსაზღვრულ ლიმიტებს. სესხები, 150,000 აშშ დოლარამდე ლიმიტით განიხილება და მტკიცდება საკრედიტო კომიტეტის მიერ, 150,000 აშშ დოლარიდან 500,000 აშშ დოლარამდე - ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო 500,000 აშშ დოლარზე მეტი თანხით - ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

იურიდიული პირების დაკრედიტებისას, ბანკი მოითხოვს და წარმოადგენს მსესხებლის ბიზნეს და ფინანსური საქმიანობის დეტალურ ანალიზს.

საკრედიტო რისკის მართვა/დაზღვევა ხორციელდება უზრუნველყოფის მიხედვით. ზემოთხსენები მსესხებლების შემთხვევაში, უზრუნველყოფების შეფასებას ბანკი ახორციელებს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

მაქსიმალური საკრედიტო ვალდებულება არის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ასახული ნაწილი და არსაბალანსო/არაღიარებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებზეც შეიძლება წარმოიშვას საკრედიტო რისკი. აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური რისკების შესამცირებლად, არ არის მნიშვნელოვანი.

კლიენტებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფებისა და საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ანალიზისათვის, იხილეთ მე-10 შენიშვნა.

საკრედიტო რისკის არასაბალანსო ნაწილის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

(f) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის წინაშეც დგება ბანკი იმ თანხების მოზიდვის გართულების შემთხვევაში, რომელიც აუცილებელი იქნება მისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ,

როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ძირითად გამოწვევას. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტებში შეუძლებელია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად განუსაზღვრელი პირობით ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მოგებას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ბანკი მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარ, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით. ლიკვიდობის პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის მოთხოვნებია:

- დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიება და შენარჩუნება
- ვალდებულებების ხასიათისა და კონცენტრაციის მართვა
- ვალდებულებების მომსახურების დაფინანსების გეგმის წარმოება
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის კონტროლი მარეგულირებლის მოთხოვნების შესაბამისად.

ბანკის ლიკვიდურობის მდგომარეობა კონტროლდება ფინანსური განყოფილებისა და რისკების მართვის განყოფილების მიერ. ჩვეულებრივი საბაზრო მდგომარეობის პირობებში, ლიკვიდურობის შესახებ ინფორმაცია ბანკის მენეჯმენტს წარედგინება ყოველკვირეულად. ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებები მიიღება რისკების მართვის განყოფილებისა და ბანკის მენეჯმენტის მიერ, პროცესში ფინანსური განყოფილების თანამონაწილეობით.

ასევე, ბანკი ყოველდღიურად აკონტროლებს ლიკვიდურობის კოეფიციენტს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე ცხრილებში ასახულია არადისკონტრირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებებსა და საკრედიტო ვალდებულებებზე, მათი მიმდინარე პერიოდთან ყველაზე ახლოს არსებული სახელშეკრულებო ვადიანობის საფუძველზე. მთლიანი გადინება და შემოდინება, რომელიც ასახულია ცხრილში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტრირებულ ფულად ნაკადს ფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებებსა და საკრედიტო ვალდებულებებზე.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	მთლიანი	
							შემოდინების (გადინების) თანხა	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები								
ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	(3,041,736)	-	(8,256,822)	(55,053,960)	(13,309,235)	(66,460,421)	(146,122,173)	(126,224,194)
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(13,645,001)	(9,030,882)	(11,241,642)	(11,603,094)	(11,559,396)	-	(57,080,015)	(55,016,364)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(256,185)	-	-	-	-	-	(256,185)	(256,185)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(16,942,922)	(9,030,882)	(19,498,464)	(66,657,053)	(24,868,631)	(66,460,421)	(203,458,373)	(181,496,743)
საკრედიტო ვალდებულებები	(5,309,958)	-	-	-	-	-	(5,309,958)	(5,309,958)

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	მოლანი
							შემოდინების (გადინების) თანხა)
არაწარმოებული ვალდებულებები	(8,934,298)	-	-	-	-	-	(8,934,298)
განკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	(13,421,778)	(695,830)	(2,026,867)	(493,803)	(7,585,002)	(17,238,300)	(41,461,580)
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	(804,479)	(999,479)	(2,308,683)	5,038,636)	(30,981,119)	(1,384,995)	(41,517,391)
სხვა ნასესხები სახსრები	(689,310)	-	-	-	-	-	(689,310)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(23,849,865)	(1,695,309)	(4,335,550)	(5,532,439)	(38,566,121)	(18,623,295)	(92,602,579)
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2,266,896)	-	-	-	-	-	(2,266,896)
საკრედიტო ვალდებულებები							

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გაიტანონ/დაარღვიონ ვადიანი დეპოზიტები; ასეთ შემთხვევებში, ისინი ძირითადად კარგავენ დარიცხულ პროცენტებს. შესაბამისად, ეს დეპოზიტები, გარდა დარიცხული პროცენტებისა, ზემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სახელშეკრულებო ვადიანობის შესაბამისად.

ამ ტიპის დეპოზიტების კლასიფიკაცია სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით, ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2015	2014
	ლარი	ლარი
მოთხოვნამდე და 1 თვემდე	-	5,501,020
1-დან 3 თვემდე	425,874	694,963
3-დან 12 თვემდე	2,184,206	1,506,083
1-დან 5 წლამდე	36,431,937	-
5 წელზე მეტი	-	17,238,300
	39,042,017	24,940,366

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საბალანსო აქტივები და ვალდებულებები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი დაფარვების ვადების მიხედვით:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვალო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	38,888,900	-	-	-	-	-	38,888,900
სვალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	25,819,008	-	-	-	-	-	25,819,008
კლიენტებისათვის გაცემული სესხები ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	7,117,608	3,545,376	32,243,928	76,667,500	25,710,213	-	145,284,625
სხვა აქტივები	232,899	-	-	-	-	2,831,260	2,831,260
სულ აქტივები	72,058,415	3,545,376	32,243,928	76,667,500	25,710,213	2,831,260	213,056,692
ვალდებულებები							
ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	3,041,235	-	61,835,243	11,556,541	49,791,176	-	126,224,194
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	9,518,818	9,268,258	18,042,644	18,186,644	-	-	55,016,364
სხვა ვალდებულებები	279,454	-	-	-	-	-	279,454
სულ ვალდებულებები	12,839,507	9,268,258	79,877,887	29,743,184	49,791,176	-	181,520,012
წმინდა საბალანსო პოზიცია	59,218,908	(5,722,883)	(47,633,958)	46,924,316	(24,080,964)	2,831,260	31,536,680

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საბალანსო აქტივები და ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი დაფარვების ვადების მიხედვით:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვალო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14,034,489	-	-	-	-	-	14,034,489
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	5,436,305	-	-	-	-	-	5,436,305
კლიენტებისათვის გაცემული სესხები ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	2,319,346	912,373	7,612,318	54,511,442	3,735,671	-	69,091,150
სხვა აქტივები	757,769	-	-	-	-	1,950,545	1,950,545
სულ აქტივები	22,547,909	912,373	7,612,318	54,511,442	3,735,671	1,950,545	91,270,258
ვალდებულებები							
განკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები	8,931,707	-	-	-	-	-	8,931,707
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	13,403,434	694,963	1,506,083	-	17,238,300	-	32,842,780
სხვა ნასესხები სახსრები	804,479	720,386	6,151,349	27,789,935	1,242,401	-	36,708,550
სხვა ვალდებულებები	722,520	-	-	-	-	-	722,520
სულ ვალდებულებები	23,862,140	1,415,349	7,657,432	27,789,935	18,480,701	-	79,205,557
წმინდა საბალანსო პოზიცია	(1,314,231)	(502,976)	(45,114)	26,721,507	(14,745,030)	1,950,545	12,064,701

(g) საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს პირდაპირი ან ირიბი ზარალის რისკს, რომელიც წარმოეშევა ბანკს პერსონალთან, ტექნოლოგიებთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მიზეზებიდან, გარე ფაქტორებიდან, გარდა საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკისა, როგორცაა სამართლებრივი ან მარეგულირებელი მოთხოვნები და ზოგადად მიღებული კორპორატიული ქცევის სტანდარტები. საოპერაციო რისკი წარმოიშობა ყველა ტიპის საბანკო ოპერაციებიდან.

ბანკის მიზანია საოპერაციო რისკის ისე მართვა, რომ დაბალანსებული იყოს ფინანსური ზარალის თავიდან აცილება და დაზღვეული იყოს ბანკის რეპუტაციული რისკი. საოპერაციო რისკის პოლიტიკა ითვალისწინებს ყველა მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ბანკი მართავს საოპერაციო რისკს შიდა კონტროლის სისტემების ჩამოყალიბების მეშვეობით.

16 კაპიტალის მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი აწესებს და აკონტროლებს ბანკებისათვის კაპიტალის მოთხოვნებს.

ბანკი კაპიტალად განსაზღვრას ყველა იმ მუხლს, რომელიც მარეგულირებელი მოთხოვნების მიხედვითაა დადგენილი. სებ-ის მიმდინარე მოთხოვნების მიხედვით, ბანკმა უნდა დაიცვას კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე, რომელიც 2015 წლის 31 დეკემბრით არის 10.5 % (2014: 12%). ბანკი 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად აკმაყოფილებს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს და იცავს განსაზღვრულ დონეებს.

ფილიალის ბანკად გადაქცევის მომენტისათვის, 2015 წლის 1 აგვისტოს, ბანკმა დაარეგისტრირა სააქციო კაპიტალი.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების მონაცემები 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ლარი	2015	2014
სავალდებულო რეზერვი/სააქციო კაპიტალი	30,000,000	13,013,484
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	1,497,015	(806,617)
სულ კაპიტალი	31,497,015	12,206,867
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (არააუღირებელი)	118,717,477	48,178,342
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (%) (არააუღირებელი)	27%	25%

რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების შეფასება ხდება რისკის წონების იერარქიის მეშვეობით, რომელიც კლასიფიცირებულია რისკების ხასიათის მიხედვით და ასახავენ საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების შეფასებას, რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ აქტივთან და კონტრაგენტთან, სესხის უზრუნველყოფისა და გარანტიების გათვალისწინებით.

17 საკრედიტო ვალდებულებები

ბანკს გააჩნია საკრედიტო ვალდებულებები, დაკავშირებული სესხების გაცემასთან. საკრედიტო ვალდებულებები მოიცავენ ოვერდრაფტებსა და საკრედიტო ხაზებს.

ბანკი უზრუნველყოფს მესამე მხარეებს ფინანსური გარანტიებით, კლიენტების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების თაობაზე. აღნიშნულ შეთანხმებებს გააჩნიათ ფიქსირებული შეზღუდვები და როგორც წესი აქვთ 5 წლამდე ვადიანობა.

ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს, როდესაც საკრედიტო ვალდებულებას, ფინანსურ გარანტიებსა და აკრედიტივს გასცემს, რომელსაც იყენებს კლიენტებისათვის სესხის გაცემისას.

საკრედიტო ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ცხრილში ასახული საკრედიტო ვალდებულებების თანხები გულისხმობენ იმას, რომ თანხები სრულად ავანსირებულია. ცხრილში ასახული თანხები გარანტიისა და აკრედიტივისთვის წარმოადგენენ მაქსიმალურ შესაძლო ზარალს, რაც შეიძლება დამდგარიყო საანგარიშგებო თარიღით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები სრულად ვერ შეასრულებდნენ ხელშეკრულების პირობებს.

	2015 ლარი	2014 ლარი
სახელშეკრულებო თანხა		
სესხების აუთვისებელი თანხები	25,495	13,764
ფინანსური გარანტიები	5,284,463	2,253,132
	5,309,958	2,266,896

ზემოთ მოცემული საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისათვის შეიძლება არ გახდეს საჭირო ფულადი სახსრები, რადგან კონკრეტული ვალდებულების ვადები და პირობები შეიძლება ამოიწუროს დაფინანსების გარეშე.

მოცემული საკრედიტო ვალდებულებებიდან 3,685,084 ლარი კონცენტრირებულია ორ კონტრაგენტზე (2014: 1,482,952 ლარი - ერთ კონტრაგენტზე). აღნიშნული წარმოადგენს ბანკის საკრედიტო რისკს.

18 საოპერაციო იჯარა

(a) იჯარა მოიჯარეს სახით

საოპერაციო იჯარის გადასახადი, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება, 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2015 ლარი	2014 ლარი
1 წელზე ნაკლები	998,217	447,264
1-დან 5 წლამდე	2,822,814	1,267,248
	3,821,031	1,714,512

ბანკი იჯარით იღებს რიგ შენობებსა და აღჭურვილობას, 5 წლიანი პერიოდით, ვადის განახლების შესაძლებლობით. იჯარის გადასახადი ყოველწლიურად იზრდება. არცერთი იჯარა არ მოიცავს პირობით იჯარის გადასახადს.

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო სექტორი საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის.

ბანკი დაზღვეულია ბიზნესის უწყვეტობასა და მესამე მხარეების მიმართ, არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის პროცესში, ბანკს უწევს სასამართლო დავა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საბოლოო ვალდებულება, ასეთის წარმოშობის შემთხვევაში, არ იქონიებს უარყოფით მატერიალურ გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა ან მის მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(c) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, არანაირი ვალდებულებების, ჯარიმებისა და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ოთხ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

2016 წელს, საქართველოს მთავრობამ დააანონსა ე.წ. ესტონური მოდელის დანერგვა კორპორატიულ საგადასახადო სისტემაში, რაც გულისხმობს, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება დივიდენდების გაცემა. 2016 წლის 24 მარტს, მთავრობამ, შესაბამისი პროექტი გადაუგზავნა პარლამენტს განსახილველად. ამ ცვლილებას, შესაძლოა ქონდეს მნიშვნელოვანი ფინანსური ეფექტი კომპანიისათვის. პირველ ეტაპზე, იგეგმება ფინანსური ინსტიტუტების გარდა (სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) მოდელის ამოქმედება, 2017 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებისათვის - 2019 წლის 1 იანვრიდან.

20 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მმართველობითი ურთიერთობა

სს იშბანკი საქართველო-ს აკონტროლებს იშბანკის წევრების დამატებითი საპენსიო ფონდი.

ბანკის მაკონტროლებელი მხარის ფინანსური ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი საჯაროდ. თუმცა, ასეთ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსცემს Türkiye İş Bankası Anonim Şirketi, რომელიც ბანკის მაკონტროლებელი შუამავალი მხარეა.

(b) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ჯამური ანაზღაურება, რომელიც შესულია თანამშრომელთა ხელფასებში, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2015 ლარი	2014 ლარი
მოკლევადიანი დამატებითი გადახდები თანამშრომლებისათვის	<u>725,094</u>	<u>812,127</u>

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

სხვა დაკავშირებული მხარეები მოიცავენ მშობელ კომპანიას.

დაკავშირებული მხარეების მიმდინარე ნაშთები და მოგება-ზარალთან დაკავშირებული ოპერაციები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ლარი	მშობელი კომპანია 2015	მშობელი კომპანია 2014
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
- თურქულ ლირაში	157,706	478,311
- აშშ დოლარში	-	5,590,800
ვალდებულებები		
ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები და საბანკო ანგარიშები		
- ევროში	1,187,167	702,029
- აშშ დოლარში	76,459,808	8,229,678
- ფუნტ სტერლინგში	601,367	-
სხვა ნასესხები სახსრები		
- აშშ დოლარში	-	36,708,550
მოგება/(ზარალი)		
საპროცენტო ხარჯი	(1,894,796)	(1,170,102)

დაკავშირებული მხარეების ნაშთებისა და დეპოზიტების ვადიანობა შემდეგია: 16,900,625 ლარი - 12 თვემდე ვადიანობით, 11,556,541 ლარი - 1 დან 5 წლამდე და 49,791,176 ლარი - 5 წელზე მეტი ვადიანობით.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არაუზრუნველყოფილია.

ზემოთმოცემული დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთია - 4.5%.

21 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე უფრო ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების მომსახურებისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც შესრულებადი, აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ყველა ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან. რეალური ღირებულების განსაზღვრის პრინციპები წარმოდგენილია მე-3 c(v) შენიშვნაში.

ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების შეფასებული რეალური ღირებულება გამოთვლილია დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის მეთოდით, მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დისკონტის განაკვეთის საფუძველზე ანგარიშგების თარიღისათვის.

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე უფრო ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების მომსახურებისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ დაშვებებს:

- 8.7%-დან 9.0%-მდე განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებისაგან მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის.
- 4.7% გამოიყენება ვალდებულებებისაგან მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის.

(b) რეალური ღირებულების იერარქია

ბანკი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას შეფასების გაკეთებისას:

- I დონე: აქტიურ ბაზარზე კვოტირებული (არადაკორექტირებული) ფასი, მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.
- II დონე: მონაცემები, გარდა იმისა, რომელიც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც დაკვირვებადია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია: აქტიურ ბაზრებზე კვოტირებული საბაზრო ფასებისათვის მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით; ნაკლებადაქტიურ ბაზრებზე კვოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი მონაცემები დაკვირვებადია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.
- III დონე: არადაკვირვებადი მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტებს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდი მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან დაკვირვებად მონაცემებს და დაკვირვებადი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლის შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.